

№3- 191

22.05.2018

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

ბატონო ზურაბ,

ჩვენს მიერ 2018 წლის 7-8 მაისს სეს-იდან გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად მივიღეთ წერილები N 09/3708 და N 09/3910, თანდართულ მონაცემებთან ერთად. სამწუხაროდ, ჩვენს მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია სრულად კვლავ არ მიგვიღია, ამიტომ კიდევ ერთხელ მოგმართავთ.

1. გთხოვთ მოგვაწოდოთ 2018 წლის იანვარ-მარტის პერიოდში შემოწმებული სურსათის ნიმუშების სია, რომლებშიც დარღვევები არ გამოვლინდა. აღნიშნული მონაცემების მოწოდებისას, გთხოვთ მიუთითოთ:
 - შემოწმებული სურსათის სახელწოდება, მწარმოებლის სახელწოდება და მისამართი, წარმოების ვადა, ან შენახვის თარიღი, ან პარტიის ნომერი;
 - ლაბორატორიული დასკვნის თარიღი.
2. გთხოვთ მოგვაწოდოთ 2018 წლის იანვარ-მარტის პერიოდში ინსპექტირებული საწარმოების სია, სადაც არაკრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა. აღნიშნული მონაცემების მოწოდებისას, გთხოვთ მიუთითოთ ბიზნესოპერატორების სახელწოდებები, მისამართები და საქმიანობის ტიპი.

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ Microsoft Excel-ის ფორმატში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang@csrdg.ge.

გარდა ამისა, გვსურს გაცნობოთ შემდეგი:

1. როგორც თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, სეს-ის რეაგირება ვეტერინარული პრეპარატის „ალბენდაზოლ 600“-ის მიმოქცევიდან ამოღების თაობაზე დაგვიანებული იყო. ლაბორატორიული ოქმი, რომლის საფუძველზეც პრეპარატი უვარგისად იქნა მიჩნეული 30.03.18-ითაა დათარიღებული, ხოლო სეს-ის წერილი პრეპარატის მწარმოებელი ფირმის სახელზე პრეპარატის მიმოქცევიდან ამოღება/გამოთხოვის შესახებ -- 19.04.18-ით. სეს-ის ჩვენთვის გამოგზავნილ პასუხში ისიცაა მითითებული, რომ ბიზნესოპერატორის ინფორმაციით, ჯერ კიდევ მიმდინარეობს პრეპარატ „ალბენდაზოლ 600“-ის სავაჭრო ქსელიდან ამოღების პროცესი.
2. სეს-იდან საჯარო ინფორმაციის მიღება ჩვენთვის დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეს უკვე მეხუთე წერილია, რომლითაც 2018 წლის პირველი კვარტლის კონტროლის შედეგებს ვითხოვთ და, სამწუხაროდ, არასრული ინფორმაციის მოწოდებას სისტემატური ხასიათი აქვს. თუკი ასეთი პრაქტიკა გაგრძელდება,



მოქმედებები

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს



იმულებული ვიქნებით მივმართოთ გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს.

პატივისცემით,



ვანტანგ კობალაძე
პროგრამის კოორდინატორი